

## ბარსელონის დეკლარაცია

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების პოლიტიკური წარმომადგენლები, ვაღიარებთ რა, რომ ყველა მამაკაცს, ქალსა და ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იცხოვროს ტირანული დაავადების გარეშე, ვაცხადებთ, რომ:

1. კაცობრიობის ისტორიაში, ტუბერკულოზით გარდაიცვალა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე ნებისმიერი სხვა ინფექციური დაავადებით. იგი კვლავ არის ყოველწლიურად 1.5 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი, ხშირად გავლენას ახდენს ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე; ამიტომ, ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გახდეს გლობალური პოლიტიკის პრიორიტეტი.
2. ტუბერკულოზთან ბრძოლის მიმდინარე კურსი იმდენად ნელია, რომ ეს დაავადება, მომავალშიც, მსოფლიოში მილიონობით მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის საფრთხედ დარჩება. შესაბამისად, დაავადების წინააღმდეგ მიმართული პროგრამების გახორციელება ყველა მთავრობის სასიცოცხლო ინტერესს უნდა წარმოადგენდეს.
3. რეზისტენტული ტუბერკულოზის არსებობა მეტყველებს დაავადების სწორად მართვის კოლექტიურ მარცხზე, რაც ხშირად აუტანელი ტვირთი ხდება პაციენტებისთვის. ეს ფაქტორი საფრთხეს უქმნის დაავადებასთან ბრძოლის პროგრესს, მილიონობით სიცოხლის ფასად, შესაბამისად, იგი უნდა წარმოადგენდეს გადაუდებელი ქმედებების მთავარ ფოკუსს.
4. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტები არაადეკვატურია, ვაქცინები და დიაგნოსტიკური საშუალებები - არასაკმარისი, ფარმაცევტული განვითარების კომერციული ბაზარი ვერ აკმაყოფილებს პაციენტების მოთხოვნას.
5. ტუბერკულოზი სამმაგ ტვირთს აკისრებს პაციენტს - ჯანმრთელობაზე დამანგრეველ ზემოქმედება, მკურნალობის მძიმე ტვირთი, სტიგმათა და შიშით განპირობებული სოციალური იზოლაცია. აღნიშნული პრობლემები, ჯანდაცვის ეროვნული პროგრამების მიერ, ჰოლისტიკური მიდგომით უნდა გადაიჭრას.
6. მკურნალობის პროცესში გამოწვევას წარმოადგენს ტუბერკულოზის კოინფექცია აივ-თან და დიაბეტთან, რაც ხელს უშლის დაავადების გავრცელების შემცირებას, ზრდის ტუბერკულოზთან ასოცირებლ ავადობას და სიკვდილიანობას. ჯანდაცვის სისტემამ ძირითადი კოინფექციებისთვის უნდა მოახდინოს პროგრამების ინტეგრირება.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაღიარებთ ვართ გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება და მოვუწოდოთ ჩვენს მთავრობებს მდგრადი ქმედებისაკენ, უზრუნველყოთ ტუბერკულოზთან ბრძოლისათვის საჭირო საერთაშორისო და შიდა რესურსები, ხაზი

გავუსვათ პოლიტიკურ დღის წესრიგში აღნიშნული დაავადების პრიორიტეტულობას, კერძოდ:

7. მოვითხოვთ, რომ ყველა პაციენტს, მიუხედავად მათი ვინაობის, საცხოვრებელი ადგილისა და გადახდისუნარიანობისა, ხელი მიუწვდებოდეს სწრაფ, ზუსტ დიაგნოსტიკის მეთოდებსა და მაღალი ხარისხის მკურნალობაზე. ტუბერკულოზის დიაგნოზმა და მკურნალობამ არასოდეს გამოიწვიოს პაციენტისა და მისი ოჯახის გალატაკება.
8. მოვუწოდოთ კვლევისა და განვითარების ისეთი მოდელის გამოყენება, რომელიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებაზეა მორგებული, ხელს შეუწყობს და გააძლიერებს უკიდურესად საჭირო ახალი მედიკამენტების, დიაგნოსტიკური მეთოდებისა და ვაქცინების განვითარებას, რათა ყველა პაციენტს, ვისაც ეს სჭირდება, ხელი მიუწვდებოდეს ახალ მკურნალობაზე.
9. მოვითხოვთ, რომ პაციენტები და მოწყვლადი ჯგუფები მოექცნენ დაავადების საპასუხოდ მიმართული ქმედებების ცენტრში, მხარი დავუჭიროთ თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ჩართულობას ტუბერკულოზის პრევენციის, გამოვლენის და მკურნალობის ყველა ეტაპზე, შემცირდეს სტიგმა და მეტი ხმა მიეცეთ პაციენტებს ეპიდემიის საპასუხოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვთანხმდებით, რომ შეიქმნას ახალი გლობალური საპარლამენტო კოალიცია, რომელიც ეფექტურ რეაგირებას მოახდენს ტუბერკულოზის ეპიდემიაზე, იმუშავებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, UNITAID, გლობალური ფონდი, პარტნიორობა „შევაჩეროთ ტუბერკულოზი“, the Union და UNAIDS, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან მთელს მსოფლიოში და ეცდება იკისროს ვალდებულება როგორც საკუთარ ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. რაც მთავარია, მომავალ თაობებში უზრუნველყოს ტუბერკულოზის ეპიდემიის დასასრული.